

## რეზიუმე

ნაშრომში განხილულია წონასწორული სტრუქტურების არსებობა კომპაქტური ვარსკვლავების ატმოსფეროში. თავდაპირველად განვიხილეთ ვარსკვლავები და კომპაქტური ვარსკვლავები, შევადარეთ მათი მახასიათებელი პარამეტრები. ყურადღება გავამახვილეთ მათი ატმოსფეროს შემადგენლობაზე და ნატიფ სტრუქტურაზე. მაგალითისთვის ავიღეთ მზის ატმოსფერო გადაუგვარებული ელექტრონულ-იონური პლაზმით და თეთრი ჯუჯას ატმოსფერო გადაგვარებული ელექტრონული პლაზმით. ჯერ ჩავწერეთ მზის ატმოსფეროს მახასიათებელი განტოლებები და დავახასიათეთ წონასწორული სტრუქტურები, შემდეგ გამოვიყვანეთ გადაგვარებული (ფერმის) ელექტრონული აირის აღმწერი განტოლებები ე-ი პლაზმისთვის მკვრივი კომპაქტური ვარსკვლავების ატმოსფეროსათვის, დავახასიათეთ წონასწორული სტრუქტურები ბელტრამი-ბერნულის მდგომარეობებით. საბოლოოდ ჩვენ მოვიძიეთ წონასწორული სტრუქტურები ელექტრონულ-პოზიტრონულ გადაგვარებულ პლაზმაში მიღებული სამმაგი ბელტრამის წონასწორობების გამოკვლევით და განვიხილეთ ასეთი პლაზმის არსებობა ასტროფიზიკულ კონტექსტში.